

**სააქციო საზოგადოება „ნიკორა“-ს (ს/კ 200050675)
აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი #14/06/2022-1**

აქციონერთა კრება გაიმართა 2022 წლის 14 ივნისს წესდებით გათვალისწინებული წესით.

კრების ჩატარების ადგილი: ქ.თბილისი, ა.მრეველიშვილის N2
კრების დაწყების დრო: 14:00 საათი

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების კენჭისყრის შედეგები

დღის წესრიგი:

1. სს „ნიკორას“ აქციონერის, ვასილ სუხიაშვილის მიერ, პირველი რიგის მემკვიდრე(ებ)ზე შვილ(ებ)ზე, სს „ნიკორას“ ჩვეულებრივი კლასის აქციების სრულად ან ნაწილობრივ ჩუქების საკითხის განხილვა.
2. სს „ნიკორას“ ჩვეულებრივი კლასის აქციების მფლობელ აქციონერებზე, დივიდენდის განაწილება.
3. სს „ნიკორას“ მიერ ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციები) გამოშვება/განთავსება და შემდგომში მათი სავაჭროდ დაშვება.
4. სს „ნიკორა“-ს პრივილეგირებული აქციონერის - თამარ ფიჩხაიას საკუთრებაში არსებული სს „ნიკორა“-ს პრივილეგირებული კლასის აქციების დაგირავება სს „ბაზის ბანკის“ სასარგებლოდ“;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, დამსწრე კაპიტალის (აქციათა) 62.81703 %-ს -ის, ხმის უფლების მქონე 3 607 355 ცალი აქციის მესაკუთრე აქციონერთა გადაწყვეტილებით, კერძოდ:

„კრებაზე დამსწრე აქციონერებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და გამოხატეს თანხმობა:

1. თანხმობა მიეცეს სს „ნიკორას“ აქციონერს, ვასილ სუხიაშვილს, პირველი რიგის მემკვიდრე(ებ)ზე შვილ(ებ)ზე, სს „ნიკორას“ ჩვეულებრივი აქციების სრულად ან ნაწილობრივ ჩუქებასთან დაკავშირებით, აღნიშნული თანხმობა იმოქმედებს ჩუქების ყოველ ჯერზე.
2. 2022 წლის აქციონერთა პირველ საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით გაგრძელდეს ჩვეულებრივი კლასის აქციონერებზე დივიდენდის განაწილება.
3. ნება დაერთოს სს „ნიკორა“-ს განახორციელოს ნომინალური ღირებულების კუპონიანი ობლიგაციების გამოშვება/განთავსება/გაყიდვა საჯარო შეთავაზების გზით.
4. თანხმობა მიეცეს სს „ნიკორა“-ს პრივილეგირებული აქციონერს - თამარ ფიჩხაიას საკუთრებაში არსებული სს „ნიკორა“-ს პრივილეგირებული კლასის აქციების დაგირავებაზე სს „ბაზის ბანკის“ სასარგებლოდ“;